

შეთანხმება N2

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N142 ხელშეკრულებაში

ცვლილებების შეტანის შესახებ.

ქ. ბათუმი

26/09/2019 წელი.

ერთი მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი - შემდგომში “შემსყიდველი” - წარმოდგენილი დეპარტამენტის უფროსის მუხრან კაკაბაძის სახით და მეორე მხრივ, შპს „გზები“- შემდგომში “მიმწოდებელი”, წარმოდგენილი დირექტორის ირაკლი აბაშიძის სახით, მხარეთა შორის 2019 წლის 11 აპრილს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გაფორმებული N142 ხელშეკრულების (ხულოს მუნიციპალიტეტში ს/გზა "გოდერძის უღელტეხილი-მწვანე ტბა-დიდაჭარის იაილა" კმ3+240-კმ6+500 მონაკვეთზე გზის რეაბილიტაცია. (II ეტაპი)) მე-12 მუხლის 12.3. და 12.6. პუნქტების საფუძველზე, შპს „გზები“-ს 18/09/2019 წლის N158, 25/09/2019 წლის N161 წერილების, სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ 24/09/2019 წლის N12/1-993 ცნობის (ნალექიანი დღეების შესახებ), დეპარტამენტის ტექნიკური სამსახურის ხულოს განყოფილების უფროსის - რამაზ შერვაშიძის 24/09/2019 წლის N1200 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით და დეპარტამენტის ტექნიკური საბჭოს 2019 წლის 25 სექტემბრის (N49 სხდომის ოქმი) გადაწყვეტილებით, მხარეთა შორის 2019 წლის 11 აპრილს დადებულ N142 ხელშეკრულებაში ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილება:

1. ხელშეკრულების მე-13 მუხლის „ხელშეკრულების მოქმედების ვადა“ 13.1 პუნქტი, ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

13.1 სამუშაოს შესრულების ვადა განისაზღვროს - 2019 წლის 10 ივნისიდან 2019 წლის 8 ოქტომბრამდე.

2. “შემსყიდველსა” და “მიმწოდებელს” შორის 2019 წლის 11 აპრილს დადებული N142 ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან, ერთვის შესყიდვის შესახებ N142 ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

“შემსყიდველი”

“მიმწოდებელი”

დეპარტამენტის უფროსი:

შპს „გზები“-ს დირექტორი:

მუხრან კაკაბაძე

ირაკლი აბაშიძე